განმარტებითი ბარათი

საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მოქმედი რედაქცია მიღებულ იქნა 2011 წლის 27 დეკემბერს და მას შემდეგ, სხვადასხვა დროს, ორგანულ კანონში განხორციელდა დაახლოებით 100-მდე ცვლილება. დღეს მოქმედი რედაქციის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა გარდამავალ დებულებებს, რომლებიც თავისი შინაარსით ძალადაკარგულია. თავის მხრივ, რიგი საკითხები საჭიროებს დაზუსტებას, დახვეწასა და აღქმადობის თვალსაზრისით გამარტივებას, ისევე როგორც ერთგვაროვანი საკითხების სისტემატიზაციას, რაც მიზანშეწონილს ხდის ახალი საარჩევნო კოდექსის მიღებას.

წარმოდგენილი კანონპროექტის მიზანია ორგანულ კანონში დაიხვეწოს შესაბამისი ნორმები, დაზუსტდეს რიგი პროცედურები, განხორციელდეს ერთგვაროვანი ნორმების სისტემატიზაცია და გამარტივდეს მათი აღქმა.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

საარჩევნო კოდექსი საჭიროებს საკანონმდებლო რეგულაციების გადახედვას, დაზუსტებასა და ერთგვაროვანი საკითხების სისტემატიზაციას, რაც მიზანშეწონილია განხორციელდეს ახალი ორგანული კანონის მიღების გზით.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ახალი რედაქციის მიღებით დაზუსტდება რიგი პროცედურები. განხორციელდება ერთგვაროვანი ნორმების სისტემატიზება, რაც აღქმადს გახდის საარჩევნო კოდექსის ნორმებს და გაუმჯობესდება საარჩევნო საკანონმდებლო ჩარჩო.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი საკითხები:

- ზუსტდება ზოგიერთი ტერმინის განმარტება, მათ შორის არჩევნების, რეფერენდუმის/პლებისციტის საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებში გამართვის კუთხით;

- პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიზნით ზუსტდება ფოტოვიდეოგადაღების წესები. კერძოდ, კანონპროექტის თანახმად დგინდება, რომ საარჩევნო უბანზე ფოტოვიდეოგადაღება არ გულისხმობს აუდიომონიტორინგს;
- დგინდება, რომ სათანადო სამართლებრივი საფუძვლების არსებობისას განკარგულებას საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ გამოსცემს შესაბამისი კომისიის თავმჯდომარე. კერძოდ, საჩივრის განუხილველად დატოვება დაკავშირებულია საარჩევნო კანონმდებლობის მკაფიოდ დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობასთან, შესაბამისად, მიზანშეწონილია საჩივრის დასაშვებობის საკითხის შესწავლა და სათანადო გადაწყვეტილების მიღება განახორციელოს შესაბამისმა საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ;
- არჩევნების სათანადოდ ორგანიზების ხელშეწყობის მიზნით განისაზღვრება სახელმწიფო ორგანოებისა და საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლობის სამართლებრივი საფუძველები;
- საარჩევნო ადმინისტრაციის სამართლებრივი აქტების ჩამონათვალს ემატება საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ბრძანება. ამჟამად მოქმედი რედაქცია საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეების მიერ შიდაუწყებრივ საკითხებთან დაკავშირებით ბრძანების გამოცემის შესაძლებლობას არ ითვალისწინებს, რაც არსებულ პრაქტიკასთან შეუსაბამოა, პროექტის თანახმად, გათვალისწინებულია სწორედ აღნიშნული შეუსაბამობის აღმოფხვრა;
- საარჩევნო პერიოდში საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების სრულად დაკომპლექტებისა და პოტენციური კადრების მოძიების პროცესის წახალისების მიზნით, იცვლება საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა თანამდებობრივი შეუთავსებლობისა და შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხები.
- საარჩევნო ოლქებისა და ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების შექმნის მარეგულირებელი ნორმები ერთიანდება ერთ თავში;
- კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შეჯამების მარეგულირებელი ნორმები ერთიანდება ერთ თავში, ამასთან ზუსტდება შემაჯამებელ ოქმში საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული ხმების პროცენტულ წილში მითითების პროცედურა. კერძოდ, დგინდება, რომ მიღებული ხმების პროცენტული წილი საბოლოო შედეგების შემაჯამებელ ოქმში აისახება, დამრგვალების გარეშე, მთელი რიცხვის მარჯვნივ არაუმეტეს 5 ციფრის მითითებით.
- იცვლება საარჩევნო კომისიის წევრად არჩევის/დანიშვნის ნორმა, რომლის შედეგად, ნასამართლობის მქონე პირი ვერ გახდება საარჩევნო კომისიის წევრი, იმ შემთხვევაშიც, თუ მას სასჯელის სახით შეფარდებული აქვს ჯარიმა. მოქმედი რედაქციის თანახმად, ნასამართლევი პირი შესაძლოა

აირჩეს/დაინიშნოს საუბნო/საოლქო საარჩევნო კომისიის წევრად თუ მას სასჯელის სახით შეფარდებული აქვს ჯარიმა.

- საარჩევნო კოდექსის ძირითად ტექსტში განისაზღვრება არჩევნებში იმ ამომრჩევლის მონაწილეობის წესი, რომელიც მოიხსნა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრაციიდან ან რომლის რეგისტრაციაც ძალადაკარგულად გამოცხადდა სააგენტოს გადაწყვეტილებით ან რომელიც რეგისტრირებულია მისამართის მითითების გარეშე. ამჟამად, არჩევნებში იმ ამომრჩევლის მონაწილეობის წესი, რომელიც მოიხსნა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრაციიდან ან რომლის რეგისტრაციაც ძალადაკარგულად გამოცხადდა სააგენტოს გადაწყვეტილებით ან რომელიც რეგისტრირებულია მისამართის მითითების გარეშე მოქმედებს 2026 წლის 1 იანვრამდე. შესაბამისად, პროექტი ითვალისწინებს საკითხის მოწესრიგებას 2026 წლის 1 იანვრის შემდეგ;
- საარჩევნო კოდექსის ძირითად ტექსტში განისაზღვრება არჩევნებში ეტლით მოსარგებლე ამომრჩევლის მონაწილეობის წესი.

  ამჟამად, ეტლით მოსარგებლე ამომრჩევლის მიერ არჩევნებში მონაწილეობის წესი მოქმედებს 2026 წლის 1 იანვრამდე. აღნიშნული წესის თანახმად, ეტლით მოსარგებლე ამომრჩეველს უფლება აქვს საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე აირჩიოს მისთვის სასურველი ადაპტირებული საარჩევნო უბანი. შესაბამისად, ეტლით მოსარგებლე შშმ პირთა არჩევნებში მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით ორგანული კანონის პროექტი ითვალისწინებს საკითხის მოწესრიგებას 2026 წლის 1 იანვრის შემდეგაც;
- საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლების, დამკვირვებლების და მედიის წარმომადგენლების რეგისტრაციისთვის დაწესებული მოთხოვნები ერთიანდება ერთ მუხლში. ამასთან, დგინდება რეგისტრაციის ერთგვაროვანი ვადები. კერძოდ, ადგილობრივი დამკვირვებლების, მედიისა და საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლების რეგისტრაციის მიზნით შესაბამისი კომისიისთვის მიმართვა უნდა განხორციელდეს კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს მე-10 დღისა, რაც ხელს შეუწყობს რეგისტრაციის პროცედურების ერთგვაროვნად წარმართვას.
- კენჭისყრის პროცესის შეუფერხებლად წარმართვის მიზნით იცვლება კენჭისყრის დღეს შენობიდან გაძევების საკითხები, კერძოდ, კენჭისყრის შენობიდან გაძევებულ პირს აეკრძალება ყველა სხვა კენჭისყრის შენობაში შესვლა, რისთვისაც საარჩევნო ადმინისტრაცია განახორციელებს შესაბამისი პირების შესახებ მონაცემთა აღრიცხვას.
- კენჭისყრის პროცესის შეუფერხებლად წარმართვის მიზნით დგინდება საუბნო საარჩევნო კომისიის სპეცჯგუფად ფორმირების საფუძვლები. კერძოდ, თუ საარჩევნო უბნის გახსნისას კომისიის წევრთა რაოდენობა 9-ზე ნაკლები აღმოჩნდა, შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისია ჩაითვლება სპეცჯგუფად გარდაქმნილად და სპეცჯგუფს უფლება მიენიჭება ჩაატაროს

კენჭისყრა, ხოლო სპეცჯგუფის კვორუმად განისაზღვრება არსებული შემადგენლობის უმრავლესობა.

- დამატებით განისაზღვრება ის შემთხვევები, როდესაც გადასატან საარჩევნო ყუთში მოთავსებული საარჩევნო ბიულეტენები გადაწყვეტილების მისაღებად გადაეგზავნება საოლქო საარჩევნო კომისიას. კერძოდ, პროექტის თანახმად, გადასატან საარჩევნო ყუთში არსებული საარჩევნო ბიულეტენები შემდგომი გადაწყვეტილების მისაღებად დალუქულ მდგომარეობაში, ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას გადაეცემა, თუ:
  - ✓ გადასატან საარჩევნო ყუთში მოთავსებულ საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა არ ემთხვევა გადასატანი საარჩევნო ყუთის საშუალებით კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობას;
  - ✓ გადასატანი საარჩევნო ყუთი საარჩევნო უბანში დაბრუნდა დაულუქავ მდგომარეობაში;
  - ✓ სხვა შემთხვევებში, როდესაც გადასატანი საარჩევნო ყუთის გამოყენებით ჩატარებული კენჭისყრის პროცედურა საჭიროებს საარჩევნო კანონმდებლობასთან შესაბამისობის საკითხის დამატებით შემოწმებას.

- იცვლება გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების არჩევის/დანიშვნის ვადები. მოქმედი რედაქციის თანახმად, გამონაკლის შემთხვევაში შექმნილ საარჩევნო უბნებზე საარჩევნო კომისიის წევრთა არჩევა/დანიშვნა უნდა განხორციელდეს კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს მე-9 დღისა. პროექტის თანახმად, აღნიშნულ უბნებზე არჩევა/დანიშვნა განხორციელდება კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს მე-10 დღისა, რაც ხელს შეუწყობს ამომრჩეველთა სპეციალური სიის ფორმირებას
- საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებიდან და ამომრჩეველთა ინფორმირების საშუალებების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე ამომრჩეველთა ბარათების მეშვეობით ამომრჩეველთა ინფორმირება აღარ წარმოადგენს აუცილებლობას. შესაბამისად, საუბნო საარჩევნო კომისიებს აღარ ექნებათ ამომრჩეველთა ბარათების დარიგების ვალდებულება;
- იცვლება სხვა სახელმწიფოში მყოფი ამომრჩევლის არჩევნებში მონაწილეობის წესები და მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების მსგავსად, საქართველოს პარლამენტის არჩევნები მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო საზღვრებში გაიმართება.

  კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ყოველ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან აქვს რეფერენდუმში, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება. <u>უზრუნველყოფილია ამომრჩევლის ნების თავისუფალი გამოვლენა.</u>

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, აუცილებელია, რომ არჩევანი განხორციელდეს თავისუფალ გარემოში, არასათანადო ზეწოლის გარეშე. ხსენებულის უზრუნველყოფა კი შეიძლება მოიცავდეს მრავალ კომპლექსურ საკითხს, მათ შორის, არჩევნების სათანადოდ ორგანიზებას, ორგანიზაციის პროცესში დაინტერესებულ პირთა ჩართვას, დაკვირვების ხელმისაწვდომობას, პოლიტიკური პარტიებისათვის წინასაარჩევნო კამპანიის სათანადოდ წარმართვის შესაძლებლობის უზრუნველყოფას და ა.შ. *(საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2024 წლის 29 ნოემბრის №3/7/1848,1849 განჩინება, II-5).*

თავის მხრივ, ამომრჩეველთა გარკვეული ნაწილის მიერ საკუთარი საარჩევნო უფლების არასათანადო გარემოში განხორციელება არსებით გავლენას ახდენს, ზოგადად, არჩევნების პროცესზე, მის სამართლიანობაზე და, შესაბამისად, შესაძლოა, ასევე გამოიწვიოს სხვა ამომრჩეველთა უფლების დარღვევაც კი. უბნის გახსნასთან ერთად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ამ უბანზე არჩევნების სათანადოდ ორგანიზება და მოქალაქეთა მიერ არჩევანის თავისუფალ გარემოში გაკეთების შესაძლებლობა. *(საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2024 წლის 29 ნოემბრის №3/7/1848,1849 განჩინება, II-5).* ამრიგად, აღნიშნული ცვლილება ხელს უწყობს საზღვარგარეთ თავისუფალი ნების გამოვლენის ხელშეშლის პრევენციას.

როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღინიშნა *(საქმე სიტაროპულოსი და გიაკუმოპულოსი საბერძნეთის წინააღმდეგ (განაცხადი no. 42202/07), პარაგრაფი 63*), რომ არც შესაბამისი საერთაშორისო და რეგიონული ხელშეკრულებები - როგორიც არის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი, ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია და ადამიანის და ხალხთა უფლებების აფრიკული ქარტია - არც კომპეტენტური საერთაშორისო ორგანოების მიერ მათი ინტერპრეტაცია არ ქმნის დასკვნის საფუძველს, რომ თავიანთი მოქალაქეობის ქვეყნის ფარგლებს გარეთ დროებით ან მუდმივად გასული პირების საარჩევნო უფლებები მოქმედებს ისეთ ფარგლებში, რომ შესაბამის სახელმწიფოს მოეთხოვება ამ უფლებებით საზღვარგარეთ სარგებლობის უზრუნველყოფა.

შესაბამისად, იმ პირობებში როდესაც სხვა სახელმწიფოში მყოფი ამომრჩევლები იმყოფებიან უცხო ქვეყნის იურისდიქციის ქვეშ და ეფექტურად ვერ ხორციელდება მათი ნების თავისუფალი გამოვლენის უზრუნველყოფა, მიზანშეწონილია მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების მსგავსად, საქართველოს პარლამენტის არჩევნები მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო საზღვრებში გაიმართოს. მსგავსი მოწესრიგების შედეგად, ამომრჩეველს რომელიც იმყოფება საზღვარგარეთ, შესაძლებლობა ექნება არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს საქართველოს ტერიტორიაზე

არსებული მისივე რეგისტრაციის ან ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მისამართის მიხედვით;

- საარჩევნო დავების მარეგულირებელი ნორმები ერთიანდება ერთ თავში;
- მარტივდება კანდიდატების რეგისტრაციის პროცედურები. წარსადგენი აღარ იქნება სააღრიცხვო ბარათი. ამჟამად, კანდიდატის რეგისტრაციის მიზნით წარსადგენია მის მიერ შევსებული ორი დოკუმენტი, კერძოდ, სააღრიცხვო ბარათი და პარტიული კუთვნილების შესახებ განაცხადი. პროექტის თანახმად, რეგისტრაციის მიზნით კანდიდატი შეავსებს მხოლოდ არჩევნების მონაწილეობის თანხმობის ფორმას, სადაც თანხმობასთან ერთად აღინიშნება ბინადრობის ცენზისა და პარტიული კუთვნილების შესახებ ინფორმაცია.
- იცვლება და ერთგვაროვანი ხდება კანდიდატების წარდგენისა და რეგისტრაციაზე უარის/რეგისტრაციის გაუქმების საფუძვლები. პროექტის თანახმად, პარტია უფლებამოსილი იქნება კანდიდატად წარადგინოს მხოლოდ ამ პარტიის წევრი, ხოლო საინიციატივო ჯგუფი-წარადგენს უპარტიო კანდიდატს. სხვა შემთხვევაში კანდიდატი არ გატარდება რეგისტრაციაში ან რეგისტრირებულ კანდიდატს გაუუქმდება რეგისტრაცია;
- ზუსტდება საკრებულოს პირველი სხდომის მოწვევის ვადა. მოქმედი რედაქციით, საკრებულოს პირველი სხდომა ცესკოს მიერ მოიწვევა არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან 30 დღის ვადაში. პროექტით პირველი სხდომის მოწვევა გათვალისწინებულია საკრებულოს უფლებამოსილების დაწყებიდან 14 დღის ვადაში.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

განმარტებითი ბარათის წინამდებარე პუნქტი არ ვრცელდება წარმოდგენილ კანონპროექტზე, რადგან იგი არ არის საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონპროექტით გათვალისწინებულია ცვლილებების გამოქვეყნებისთანავე ამოქმედება, რადგან იგი, მისი მიზნიდან და შინაარსიდან გამომდინარე, არ ითხოვს ამოქმედების უფრო გვიანდელი ვადის დადგენას. ამასთანავე, კანონპროექტით არ არის გათვალისწინებული კანონისთვის უკუძალის მინიჭება.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

აღნიშნულ საკანონმდებლო პაკეტში შემავალი კანონპროექტების მიზნებიდან გამომდინარე არ არის გათვალისწინებული კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი. აღნიშნული ხარჯები დაიფარება ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის გამოყოფილი ასიგნებებიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტი იქონიებს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე. ის პირები, რომლებიც საარჩევნო პერიოდში „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ დანამატისა და ჯილდოს ოდენობაზე მეტ თანხას მიიღებენ, შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტში გადაიხდიან გაზრდილ საშემოსავლო გადასახადს.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღების შედეგად, საარჩევნო წლის შესაბამის საბიუჯეტო წელს გაიზრდება ცენტრალური საარჩევნო კომისიის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი, კერძოდ, გაიზრდება ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და მისი აპარატის შრომითი ანაზღაურების ხარჯი, ვინაიდან საარჩევნო პერიოდში მათზე არ გავრცელდება „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით დანამატისა და ჯილდოს ოდენობაზე დაწესებული პროცენტული ზღვარი. გარდა ამისა, შუალედური არჩევნების პერიოდში ცესკოს წევრებსა და ხელმძღვანელ პირებს, ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით განსაზღვრულ ცესკოს თანამშრომლებს მიეცემათ თანამდებობრივი სარგოს ორმაგი ოდენობა. აღნიშნულმა ცვლილებებმა შესაძლოა მოახდინოს გავლენა სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე გაზრდის მიმართულებით.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს სახელმწიფო მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტის განხორციელების შედეგად, ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და მისი აპარატის თანამშრომლებისთვის მოსალოდნელია ფინანსური პირობების გაუმჯობესება, ვინაიდან მათ საარჩევნო პერიოდში ექნებათ შესაძლებლობა გაზრდილი ოდენობით მიიღონ დამატებითი ფინანსური სარგებელი დანამატებისა და ჯილდოების სახით, ხოლო, პროექტით განსაზღვრულ ახალ სუბიექტებს (ცესკოს წევრებსა და ხელმძღვანელ პირებს, ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით განსაზღვრულ ცესკოს თანამშრომლებს) ოდენობა. შუალედური არჩევნებისას – ხელფასის ორმაგი ოდენობა.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ ადგენს რაიმე სახის გადასახადს ან მოსაკრებელს.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტს არ აქვს გავლენა ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

ბ[2]) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტის ინიციატორის მოსაზრებით, კანონპროექტის მიღებით გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე ზეგავლენის მოხდენა მოსალოდნელი არ არის.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი

ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. აგრეთვე, კანონპროექტის მომზადება არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან: ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი: საქართველოს პარლამენტის წევრები: არჩილ გორდულაძე, თორნიკე ჭეიშვილი, ალექსანდრე ტაბატაძე, დავით მათიკაშვილი, რატი იონათამიშვილი, ალუდა ღუდუშაური, თენგიზ შარმანაშვილი, გურამ მაჭარაშვილი, აკაკი ალადაშვილი.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი: საქართველოს პარლამენტის წევრები: არჩილ გორდულაძე, თორნიკე ჭეიშვილი, ალექსანდრე ტაბატაძე, დავით მათიკაშვილი, რატი იონათამიშვილი, ალუდა ღუდუშაური, თენგიზ შარმანაშვილი, გურამ მაჭარაშვილი, აკაკი ალადაშვილი.